წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.

   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

   სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

   თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

   არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.

   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.

   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.

   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

II ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

I ანტიკური სამყაროს მკვლევართა შორის დღემდე მიმდინარეობს დავა შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: არის თუ არა კოლხეთი არგონავტების მითში მოხსენიებული ზღაპრული ქვეყანა აია, სადაც არგონავტებმა უძველეს დროში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად გაილაშქრეს?

II გვიანდელ ბერძნულ წყაროებსა და „არგონავტიკის“ გვიანდელ ვერსიებში საკმაოდ თვალსაჩინოდ არის შემორჩენილი შორეული წარსულის რეალიები, რომლებიც უკავშირდება არგონავტების შავიზღვისპირეთში მოგზაურობის ეპოქას, ანუ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს – გვიანბრინჯაოს ხანას. მართალია, ეს წყაროები შედგენილია მაშინ, როდესაც ყოველდღიურ ყოფაში სპილენძი უკვე ჩანაცვლებულია რკინით, მაგრამ ამ წყაროებში აღწერილია ის პერიოდი, როდესაც აიაში საწარმოო საშუალებებს სპილენძის იარაღი წარმოადგენდა. მაგალითად, ამ წყაროთა მიხედვით, მეფე აიეტის ხარები სპილენძისანი არიან; იხსენიება სპილენძის ცული და სპილენძის მიწის სათხრელი იარაღები, სპილენძის უღელი, ბორკილები და ა. შ.

III კოლხური კულტურა ბრინჯაოს ხანის კულტურაა, რომლის განვითარებაში ორ საფეხურს გამოყოფენ. პირველი, გვიანბრინჯაოს ეტაპი, ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებით თარიღდება, მეორე კი – ძვ. წ. XI-VII საუკუნეებით. ჩვენთვის ამჯერად პირველი ეტაპია საინტერესო, რამდენადაც სწორედ ის ემთხვევა არგონავტთა ლაშქრობის ეპოქას შავიზღვისპირეთში.

IV არგონავტთა ლაშქრობის ხანაში დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე შეინიშნება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია სპილენძის ნივთები, რომლებიც უაღრესად რთული ტექნიკური ხერხების გამოყენებით არის დამზადებული. კოლხური ბრინჯაოს კულტურის სპეციფიკურ სახეს სასოფლო-სამეურნეო იარაღი განსაზღვრავს. ესენია: თავისებური მოყვანილობის ცული, წალდი, ბარისებური თოხი და სხვ. სპილენძის იარაღების დასამზადებლად მასალის მოპოვება მადნეულით მდიდარ მთიან რეგიონებში (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი) ხდებოდა, ხოლო იარაღის დამზადება – კოლხეთის დაბლობზე, ადგილობრივ სახელოსნოებში.

ტექსტის გაგრძელება ->

V ტერიტორიულად კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის გავრცელების ძირითად არეალად მიჩნეულია დასავლეთი საქართველო – დიდი და მცირე კავკასიონი და მათ შორის მოქცეული კოლხეთის დაბლობი. ამასთან, ამ კულტურის ელემენტები (სპილენძის სასოფლო-სამეურნეო იარაღი) მცირე კავკასიონის სამხრეთით მდებარე ისტორიულ მესხეთსა და შიდა ქართლშიც დასტურდება, ხოლო ზღვის სანაპირო ზოლში ნაწილობრივ თავს იჩენს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეც. ასე რომ, კოლხური კულტურის ელემენტების არსებობა ამ ტერიტორიებზე განსაზღვრავს კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის გავრცელების არეალს.

VI კოლხეთის დაბლობზე ნამოსახლარების გათხრებისას თითქმის ყველგან არის აღმოჩენილი ქვის ხელსაფქვავები, პურის საცხობად განკუთვნილი ბრტყელი ქვები, ენდემური ჯიშის ხორბლის მარცვლები, ასევე ყურძნის წიპწები, რაც ამ რეგიონში მიწათმოქმედების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. მიწათმოქმედების განვითარებაში უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა აზოტითა და ფოსფორით მდიდარ დიდსა და წყალუხვ მდინარე რიონს. რიონი თავისი შენაკადებით იყო ამავე დროს ცალკეულ ოლქებს შორის კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალება.

VII ტყის მასივების გაკაფვა და ჭაობიანი ადგილების სათეს სავარგულებად ქცევა, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების თავისებურ სარწყავ სისტემად გამოყენება მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების გაერთიანებას. თუ ამას დავუმატებთ კოლხეთის მომარაგებას სამეურნეო იარაღის დასამზადებელი ლითონით (მთისა და ბარის რეგულარულ ურთიერთობას), უნდა ვიფიქროთ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება კოლხეთის დაბლობზე იყო ის უმთავრესი საფუძველი, რომელიც განაპირობებდა კოლხეთში პოლიტიკური კონსოლიდაციის რთულ პროცესს. ამგვარ საქმიანობაში ჩაბმული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იქნებოდა ძირეული სოციალური ძვრები, კერძოდ, ზედმეტი პროდუქციის შექმნას, სიმდიდრის დაგროვებას თან სდევდა სოციალური დიფერენციაცია და საზოგადოებრივ ასპარეზზე ქონებრივად, შესაბამისად, უფლებრივად დაწინაურებული ლიდერის, მეფის გამოჩენა. ამ ეპოქაში არსებული ქონებრივი დიფერენციაციის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს არქეოლოგიური ნივთების საინტერესო სახეობის – განძების – აღმოჩენა კოლხეთის დაბლობზე. ისინი შეიცავს სპილენძის სხვადასხვა ნივთს და ხშირად სპილენძის ზოდებსაც. აშკარაა, რომ განძის სახით წარმოდგენილ სამეურნეო ფუნქციის ნივთებსა და ზოდებს სიმდიდრის დაგროვებისა და ამასთანავე გაცვლითი, ანუ ფულის ეკვივალენტის დანიშნულება ჰქონდა.

VIII ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოლხეთი თავისი განვითარებული საზოგადოებით, ბრწყინვალე ბრინჯაოს კულტურითა და ინტენსიური მიწათმოქმედებით არის სწორედ არგონავტების მითში ასახული აიას ქვეყანა, რომელსაც სათავეში მეფე აიეტი უდგას.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ო. ლორთქიფანიძე, „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, 1986.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

1. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) კოლხეთის დაბლობზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დაასაბუთოს, რომ ბრინჯაოს ეპოქაში კოლხეთი მაღალგანვითარებული კულტურის მქონე ქვეყანა იყო.

(ბ) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამეურნეო იარაღის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთოს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში კოლხეთში განვითარებული იყო სპილენძის ინდუსტრია.

(გ) კოლხეთის დაბლობზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დაასაბუთოს, რომ არგონავტებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს კოლხეთში ლაშქრობისას.

(დ) დაასაბუთოს, რომ ძველ ბერძნულ წყაროებს სპილენძის ინდუსტრიის განვითარების შესახებ მხარს უჭერს კოლხეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

(ე) კოლხეთის დაბლობზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთოს, რომ კოლხეთი იყო ის ქვეყანა, სადაც მოეწყო არგონავტების ექსპედიცია.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

2. რა არის II აბზაცის მთავარი სათქმელი?

(ა) გვიანდელი ბერძნული წყაროები შეიცავს საყურადღებო ინფორმაციას აიაში სპილენძის ინდუსტრიის განვითარების შესახებ.

(ბ) გვიანდელი ბერძნული წყაროების შექმნის პერიოდში სპილენძის იარაღი ჩანაცვლებული იყო რკინის იარაღით.

(გ) გვიანდელი ეპოქის ბერძნული წყაროები შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას კოლხეთის შესახებ.

(დ) გვიანდელ ბერძნულ წყაროებში დაცული ინფორმაცია არგონავტების მითის შესახებ არქეოლოგიური მასალით არის გამყარებული.

(ე) გვიანდელი ეპოქის ბერძნულ წყაროებში ყველაზე კარგად არის შემონახული შორეული წარსულის რეალიები.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

3. არგონავტების მითის მიხედვით, ოქროს საწმისისათვის აიაში მისულ იასონს აიას მეფე აიეტმა ასეთი დავალება მისცა: მას უღელში უნდა შეება სპილენძის ცეცხლისმფრქვეველი ხარები, არესის ველი მოეხნა, გველეშაპის კბილები დაეთესა და იქიდან ამოსული სპილენძის იარაღასხმული მეომრები დაემარცხებინა.

მითის ამ ეპიზოდისა და კოლხეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:

I. როგორც აიაში, ისე კოლხეთში განვითარებული იყო მიწათმოქმედება.
II. როგორც აიაში, ისე კოლხეთში განვითარებული იყო სპილენძის ინდუსტრია.
III. როგორც აიას, ისე კოლხეთს ჰყავდა ლიდერი.
IV. როგორც აიას, ისე კოლხეთს ჰყავდა ძლიერი ჯარი.

(ა) მხოლოდ I და II.

(ბ) მხოლოდ II და IV.

(გ) მხოლოდ I და III.

(დ) მხოლოდ I, II და III.

(ე) ოთხივე.

4. VI აბზაცში:

(ა) მოყვანილია მაგალითები V აბზაცში გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ.

(ბ) გამოვლენილია ავტორის პირადი დამოკიდებულება ტექსტში დასმულ ძირითად საკითხთან დაკავშირებით.

(გ) მოყვანილია ტექსტში გამოთქმული აზრის საპირისპირო თვალსაზრისი.

(დ) გამოტანილია დასკვნა V აბზაცში მოყვანილი მაგალითის საფუძველზე.

(ე) მოტანილია ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს ტექსტში წარმოდგენილი ძირითადი აზრის გამყარებას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

5. ტექსტის მიხედვით, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მოჰყვა კოლხეთის ტერიტორიაზე მიწათმოქმედების განვითარებას?

(ა) სამეურნეო იარაღების – თოხის, ბარის, ცულის – დახვეწა და განვითარება.

(ბ) სოციალური დიფერენციაცია და ქონებრივად და უფლებრივად დაწინაურებული ლიდერის გამოჩენა.

(გ) ჭაობების ამოშრობა და ირიგაციის სისტემის განვითარება კოლხეთის დაბლობზე.

(დ) მთასა და ბარს შორის ურთიერთობების დარეგულირება სამურნეო იარაღისათვის მასალის მოპოვების მიზნით.

(ე) მდინარე რიონისათვის საკომუნიკაციო ფუნქციის მინიჭება.

6. ჰომეროსის პოემებში, არგონავტთა ლაშქრობასთან დაკავშირებულ პასაჟებში, საუბარია მხოლოდ მეფე აიეტის სამფლობელოზე, რომელსაც, მეფის სახელიდან გამომდინარე, აია ერქვა და არსად არ არის ნახსენები კოლხეთი.

ეს ინფორმაცია:

(ა) არ გამოდგება ტექსტში გამოთქმული ძირითადი აზრის გასამყარებლად.

(ბ) საერთოდ არ უკავშირდება ტექსტში გამოთქმულ ძირითად აზრს.

(გ) საყურადღებოა არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის დეტალების რეკონსტრუქციისათვის.

(დ) გამოდგება ტექსტში გამოთქმული ძირითადი აზრის გასამყარებლად.

(ე) მნიშვნელოვანია მეფე აიეტის სამფლობელოს, აიას სავარაუდო ადგილმდებარეობის დადგენისათვის.

7. **რა თანამიმდევრობით არის განხილული ტექსტში შემდეგი საკითხები?**

A. სპილენძის ინდუსტრიის განვითარება კოლხეთში.
B. მიწათმოქმედების განვითარება კოლხეთში.
C. აიას სამეფოსა და კოლხეთის გაიგივება.
D. გვიანბრინჯაოს ეპოქის ასახვა ბერძნულ წყაროებში.
E. კამათი აიას სამეფოსა და კოლხეთის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.
F. სოციალური დიფერენციაციის პროცესი კოლხეთში.

(ა) E, C, D, A, B, F

(ბ) A, E, D, B, F, C

(გ) E, D, A, B, F, C

(დ) D, C, A, B, E, F

(ე) C, A, E, B, F, D

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტექსტი №2

I სოციალურ ფსიქოლოგთა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს ის ფაქტი, რომ ადამიანები სხვა ადამიანების თანდასწრებით გარკვეული აქტივობების შესრულებისას, ზოგ შემთხვევაში, აუმჯობესებენ ქცევას, ზოგ შემთხვევაში კი ამცირებენ ქცევის შესრულების ხარისხს. ამ მოვლენებს ფსიქოლოგებმა **სოციალური ფასილიტაციისა** და **სოციალური შეფერხების** ეფექტები უწოდეს. აღმოჩნდა, რომ ამგვარი ცვლილებები ადამიანის ქცევაში ვლინდება არა მარტო მაშინ, როდესაც სხვები მის გვერდით იმავე ქცევას ასრულებენ, არამედ მაშინაც, როდესაც ამ დროს სხვები მხოლოდ დამკვირვებელთა როლში არიან.

II ფსიქოლოგთა აზრით, სხვების თანდასწრება ზრდის ადამიანის აგზნების დონეს, ანუ მოტივაციას. ნაწილის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგადად ადამიანი ღელავს, თუ როგორ შეაფასებენ მას სხვები; მას სურს, რაც შეიძლება კარგი, დადებითი შთაბეჭდილება მოახდინოს მათზე. ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ სხვათა თანდასწრება წარმოშობს ყურადღების გადატანის პრობლემას, ანუ კონფლიქტს ორ ტენდენციას შორის: ადამიანი აღელვებულია, რადგან იძულებულია ყურადღება ერთდროულად წარმართოს, ერთი მხრივ, შესასრულებელი ქცევისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა ადამიანებისაკენ. არსებობს კიდევ ერთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, სხვა ადამიანების თანდასწრებამ შეიძლება განაპირობოს გამოწვევის ან შიშის ემოცია იმისდა მიხედვით, თუ რა რესურსები აქვს ადამიანს ამოცანასთან გასამკლავებლად. როდესაც ადამიანს საკმარისი რესურსი აქვს იმისათვის, რომ უპასუხოს ამოცანის მოთხოვნებს, მაშინ ჩნდება გამოწვევის რეაქცია. ხოლო როდესაც მას საკმარისი რესურსი არ აქვს, ჩნდება შიში.

III კვლევების მიხედვით, ქცევის შესრულება სხვების თანდასწრებით უმჯობესდება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს შედარებით მარტივი დავალებების შესრულება უწევს, როდესაც მიზნის მიღწევა მოითხოვს ადამიანისაგან პასუხს, რომელიც კარგად არის დასწავლილი, გავარჯიშებული. მაგრამ როდესაც საჭიროა ისეთი ქცევის შესრულება, რომელიც რთულია ან ცუდადაა დასწავლილი, სხვების თანდასწრების გამო მომატებული აგზნება ხელს უშლის ადამიანს ქცევის განხორციელებაში.

ტექსტის გაგრძელება ->

IV კიდევ ერთი ეფექტი, რომლის დროსაც ინდივიდის მიერ ქცევის შესრულების ხარისხი იცვლება, არის **სოციალური სიზარმაცე**. ის თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ჯგუფურ აქტივობაშია ჩართული, ანუ სხვებთან ერთად მუშაობს და საერთო საქმეში მისი წვლილის შეფასება შეუძლებელია. ჯგუფში მუშაობისას, მკვლევართა აზრით, ინდივიდი ამცირებს საკუთარ ძალისხმევას, რადგან ფიქრობს, რომ მის მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხს ვერავინ შეაფასებს და მას არავინ მოსთხოვს პასუხს შედეგებზე. არ არის გასაკვირი, რომ სოციალური სიზარმაცის ტენდენცია იზრდება ჯგუფის ზრდასა და ჯგუფის წევრთა ნაცნობობის ხარისხის შემცირებასთან ერთად. სოციალურ სიზარმაცეზე გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობის შესაძლო შედეგებიც. მაგალითად, სიზარმაცის ეფექტი მცირდება, როდესაც ადამიანებს აქვთ ჯგუფური მიღწევისათვის ჯილდოს მიღების მოლოდინი ან ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვან, რთულ ან საინტერესო საქმეს ასრულებენ.

V მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანები ზოგჯერ განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენენ არამოტივირებული ან სუსტი თანაგუნდელების წვლილის კომპენსირების მიზნით. ამ მოვლენას **სოციალური კომპენსაციის** ეფექტი ეწოდება. ამ დროს ადამიანი ცდილობს გაუმჯობესოს საკუთარი ქცევა, რადგან ფიქრობს, რომ ჯგუფის საქმიანობის შედეგი მნიშვნელოვანია, ხოლო მისი თანაგუნდელები – „სხვები“ – სათანადოდ არ იხარჯებიან, საჭირო დონეზე არ ასრულებენ დავალებებს.

VI ის, თუ რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ადამიანის ქცევაზე სხვებს, დამოკიდებულია დამკვირვებლების („სხვების“) სამ მახასიათებელზე: 1. რაოდენობა – რამდენად ბევრი დამკვირვებელი აკვირდება ინდივიდს; 2. მნიშვნელობა – რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის დამკვირვებელი თავისი სტატუსით, ასაკით და ა. შ.; 3. დისტანცია – რამდენად ახლო მანძილზეა ინდივიდი დამკვირვებლისაგან, აქვს თუ არა მასთან უშუალო კონტაქტი. ის, თუ როგორი იქნება ეს გავლენა და გაუმჯობესებს თუ გაუარესებს თავის ქცევას ადამიანი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად აქვს დასწავლილი მას ეს ქცევა.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: „სოციალური ფსიქოლოგია“ - თარგმანი, თსუ; “Social Psychology“, Shelley E. Taylor, L. A. Peplau, D.O. Sears, 2006.

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) გააანალიზოს, რა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე შინაგანი ფაქტორები.

(ბ) წარმოაჩინოს, რა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევის შესრულებაზე სხვების თანდასწრება.

(გ) ახსნას გაზრდილი მოტივაციის დადებითი და უარყოფითი გავლენა ადამიანის ქცევაზე.

(დ) გამოკვეთოს ჯგუფის წევრებისა და დამკვირვებლების ის მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე.

(ე) ხაზი გაუსვას ადამიანის მუშაობის უპირატესობას სხვების თანდასწრებით და სხვებთან ერთად.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

9. ტექსტში განხილული ეფექტების ამოქმედების შემთხვევაში, ადამიანი ქცევის შესრულების ხარისხს სხვების თანდასწრებით აუმჯობესებს იმ შემთხვევაში, თუკი:

(ა) ჩათვლის, რომ მისი თანაგუნდელები აქტიურად მონაწილეობენ საერთო საქმეში.

(ბ) პირადად შეაფასებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, როგორც ძალიან რთულს.

(გ) საერთოდ არ აღელვებს, როგორ შეაფასებენ მის ქცევას სხვები.

(დ) ჩათვლის, რომ საკმარისი რესურსი აქვს თავი გაართვას შესასრულებელ ქცევას.

(ე) მცირე ზომისა და ნაკლებად ავტორიტეტული აუდიტორიის წინაშე მოუწევს ქცევის შესრულება.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

10. ექსპერიმენტში მონაწილე ცდისპირთა ოთხ ჯგუფს სხვადასხვა ინფორმაცია მიაწოდეს:

I. თქვენი დავალება მნიშვნელოვანია, ხოლო თანაგუნდელები სუსტები არიან.
II. თქვენი დავალება უმნიშვნელოა, ხოლო თანაგუნდელები სუსტები არიან.
III. თქვენი დავალება მნიშვნელოვანია, ხოლო თანაგუნდელები ძლიერები არიან.
IV. თქვენი დავალება უმნიშვნელოა, ხოლო თანაგუნდელები ძლიერები არიან.

რომელ ჯგუფშია მოსალოდნელი, გამოვლინდეს სოციალური კომპენსაციის ეფექტი?

(ა) მხოლოდ I-ში.

(ბ) მხოლოდ II-ში.

(გ) მხოლოდ III-ში.

(დ) მხოლოდ II-სა და IV-ში.

(ე) მხოლოდ I, II-სა და IV-ში.

11. რომელი ეფექტის შემთხვევაში ითვალისწინებს ადამიანი ჯგუფური მუშაობის საერთო წარმატების შედეგს?

(ა) მხოლოდ სოციალური ფასილიტაციისა და შეფერხების.

(ბ) მხოლოდ სოციალური სიზარმაცისა და კომპენსაციის.

(გ) მხოლოდ სოციალური შეფერხებისა და სიზარმაცის.

(დ) მხოლოდ სოციალური შეფერხებისა და კომპენსაციის.

(ე) მხოლოდ სოციალური ფასილიტაციისა და სიზარმაცის.

12. ტექსტის III აბზაცში:

(ა) ახსნილია პირველ აბზაცში წარმოდგენილი ცნებები.

(ბ) შეჯამებულია წინა აბზაცებში განხილული საკითხები.

(გ) დაზუსტებულია წინა აბზაცში განხილული საკითხი.

(დ) მოყვანილია წინა აბზაცში განხილული საკითხის საპირისპირო არგუმენტი.

(ე) წამოჭრილია ახალი საკითხი ტექსტში განხილულ თემასთან დაკავშირებით.

13. ქვემოთ აღწერილი აქტივობებიდან რომელი ეწინააღმდეგება ტექსტში განხილულ ეფექტებს?

(ა) კალათბურთელი უფრო აქტიურად ერთვება თამაშში, როცა თანაგუნდელები სათანადოდ არ იხარჯებიან, ხოლო მოგება კი მნიშვნელოვანია.

(ბ) მსახიობი უფრო მეტად ნერვიულობს დიდი აუდიტორიის წინაშე პირისპირ გამოსვლისას, ვიდრე მისი გამოსვლის ვიდეოჩაწერისას.

(გ) კარგი სტუდენტი 5-კაციანი კომისიის წინაშე უკეთ წარმოაჩენს საკუთარ ცოდნას, ვიდრე ერთი მასწავლებლის თანდასწრებით.

(დ) გამოცდილი მუსიკოსი უკეთ დაუკრავს კასტინგის დირექტორის წინაშე, ვიდრე საკუთარი მეგობრების წინაშე.

(ე) ტანმოვარჯიშე კარგად დასწავლილ ილეთებს უფრო კარგად ასრულებს მარტო ვარჯიშისას, ვიდრე შეჯიბრის დროს გულშემატკივართა წინაშე.

14. ერთ-ერთ კვლევაში ცდისპირებს თოკის მთელი ძალით გაქაჩვას სთხოვდნენ. მათ ძალას კილოგრამებში ზომავდნენ. მონაწილეები მუშაობდნენ მარტო, 7-კაციან და 14-კაციან ჯგუფებში. მარტო მუშაობისას თითოეული მონაწილე საშუალოდ 85 კგ-ს ძლევდა, 7-კაციან ჯგუფში – 65 კგ-ს, ხოლო 14-კაციან ჯგუფში თითოეული წევრის წილი 61 კგ-მდე დაეცა.

რომელ აბზაცს შეავსებდა წარმოდგენილი პასაჟი?

(ა) II

(ბ) III

(გ) IV

(დ) V

(ე) VI

ტექსტი №3

დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის პრობლემა მუდამ იდგა მეცნიერთა წინაშე. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ორგვარი მიდგომა ამ საკითხის მიმართ: **აბიოგენეტური**, რომლის თანახმად, ცოცხალი ორგანიზმები არაცოცხალი მატერიისგან წარმოიქმნა, და მისი საპირისპირო, **ბიოგენეტური**, რომლის მიხედვით, დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმები მხოლოდ ცოცხლისაგან წარმოიქმნება. ამ საკითხის შესახებ არაერთი თეორია თუ ჰიპოთეზა არსებობს. მათ ნაწილს დღეს სამეცნიერო ღირებულება დაკარგული აქვს, თუმცა მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით ისინი გარკვეულ ყურადღებას დღემდე იმსახურებს.

თვითჩასახვის, ანუ **სპონტანური ჩასახვის** თეორიის თანახმად, სიცოცხლე მრავალჯერ წარმოიშვა თავისთავად, არაცოცხალი ნივთიერებებისაგან. მაგალითად, ბერძენი ფილოსოფოსის, ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს (384-322 ძვ. წ.) აზრით, „შლამისგან ჭიაყელა წარმოიქმნება, ხოლო ხორცისგან – მატლი“. ამ კონცეფციას იზიარებდა XVIII-XIX საუკუნეების მრავალი ბუნებისმეტყველი, მათ შორის, ფრანგი მეცნიერი ლ ა მ ა რ კ ი, პირველი ევოლუციური თეორიის ფუძემდებელი. ცნობილი ექიმი ჰ ე ლ მ ო ნ ტ ი კი ცდებსაც ატარებდა იმის დასამტკიცებლად, რომ რთული ცოცხალი ორგანიზმები შეიძლება არაცოცხალი მატერიისგან წარმოიქმნას. მიკროორგანიზმების აღმოჩენის შემდეგ აბიოგენეზის მომხრეებმა დააზუსტეს, რომ არაცოცხალი მატერიისგან შეიძლება წარმოიქმნას ცოცხალი ორგანიზმების მხოლოდ პრიმიტიული ფორმები – მიკროორგანიზმები.

კრეაციონისტული ჰიპოთეზის მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმები დედამიწაზე შეიქმნა ზებუნებრივი ძალის ან ღმერთის ერთჯერადი შემოქმედებითი აქტის შედეგად. ამ შეხედულებას იზიარებენ დღეს მონოთეისტური რელიგიები, მაგალითად, იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი.

სტაციონარული მდგომარეობის, ანუ **მარადიულობის** ჰიპოთეზის თანახმად, რომელიც 1880 წელს გერმანელმა მეცნიერმა პ რ ე ი ე რ მ ა ჩამოაყალიბა, დედამიწა და მასზე დასახლებული სახეობები კი არ წარმოიქმნენ, არამედ მუდმივად არსებობდნენ და უძველესი დროიდან დღემდე თავიანთ მსგავსს წარმოქმნიან. ამ ჰიპოთეზის მომხრეები არ იზიარებენ შეხედულებას, რომ დედამიწაზე სხვადასხვა ეპოქაში ხდებოდა გარკვეული სახეობების წარმოშობა და განვითარება, ხოლო ზოგიერთი მათგანი გადაშენდა. სიცოცხლის მარადიულობის მტკიცებულებად მოჰყავთ ამ ტიპის ფაქტები: პალეონტოლოგიური მონაცემებით, მტევანფარფლიანი თევზები გადაშენდნენ ცარცული პერიოდის ბოლოს, ანუ 70 მილიონი წლის წინ, მაგრამ 1953 წელს ინდოეთის ოკეანეში აღმოაჩინეს მტევანფარფლიანი თევზი, ლატიმერია. შესაბამისად, მარადიულობის თეორიის მიმდევრებმა დაასკვნეს, რომ მათი შეხედულება მართებულია – სახეობები არ ქრებიან.

ტექსტის გაგრძელება ->

პანსპერმიის, ანუ **კოსმიური** ჰიპოთეზის მიხედვით, სიცოცხლე შეიძლება წარმოშობილიყო ერთჯერადად ან მრავალჯერ, სხვადასხვა პერიოდში, ჩვენი გალაქტიკის ან კოსმოსის სხვადასხვა ნაწილში. შემდგომში მოხდა „სიცოცხლის ჩანასახის“ განსახლება კოსმოსში, საიდანაც ცოცხალმა ორგანიზმებმა დედამიწაზე შემოაღწიეს. ეს ჰიპოთეზა 1865 წელს გერმანელმა მეცნიერმა რიხტერმა განავითარა, რომელსაც ეთანხმებოდნენ ცნობილი ფიზიკოსები: ჰელმჰოლცი, ტომსონი და არენიუსი. თუმცა პანსპერმიის ჰიპოთეზა ვერ ხსნის, როგორ წარმოიქმნა თავდაპირველად სიცოცხლე სხვა პლანეტებზე, როგორ მოაღწია დედამიწამდე და როგორი იყო მისი ევოლუციური განვითარება დედამიწაზე მოხვედრის შემდეგ. ამ ჰიპოთეზამ ასევე ვერ გასცა პასუხი კითხვაზე: შეუძლია თუ არა „სიცოცხლის ჩანასახს“ კოსმიურ სივრცეში ცხოველქმედების შენარჩუნება, ანუ გადარჩენა აბსოლუტურ ნულთან მიახლოებული ტემპერატურისა და მაღალი რადიაციის პირობებში.

ბიოქიმიური ევოლუციის თეორიის მიხედვით, დედამიწაზე სიცოცხლე წარმოიშვა ბუნებაში მიმდინარე ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებზე დამყარებული მოვლენების შედეგად. ამ ჰიპოთეზის თანახმად, არაორგანული ნივთიერებებისგან თანდათანობით ჩამოყალიბდა ორგანული ნივთიერებები, რომლებმაც სათავე დაუდეს ცოცხალ უჯრედს. სიცოცხლის წარმოშობის პროცესი ოთხ ეტაპად იყოფა: 1. პირველადი ატმოსფეროს აირებისგან აბიოგენეზის გზით დაბალმოლეკულური ორგანული ნაერთების – მონომერების – სინთეზი; 2. მონომერებისგან პოლიმერების – პოლიპეპტიდებისა და პოლინუკლეოტიდების – წარმოქმნა; 3. თვითწარმომქმნელი სისტემების – პროტობიონტების ჩამოყალიბება; 4. მარტივი უჯრედის ჩამოყალიბება, რომელსაც აქვს სიცოცხლისათვის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ, რეპროდუქციული გენეტიკური აპარატი, რითაც შვილეულ უჯრედებს გადაეცემა მშობლის ყველა ქიმიური და მეტაბოლური თვისება. დღეისათვის ცდებით დადასტურებულია აბიოგენური გზით ზოგიერთი რთული ორგანული ნაერთის, მაგალითად, ამინომჟავების, ნუკლეოტიდების და სხვ. სინთეზის შესაძლებლობა.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, ი. ლაზრიშვილი, „ბიოლოგია“, მე-2 შესწორებული გამოცემა, 2011.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) აბიოგენეტური თეორიების მართებულობის დასაბუთება.

(ბ) სიცოცხლის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიების ექსპერიმენტული დასაბუთება.

(გ) ბიოქიმიური ევოლუციის თეორიის მნიშვნელობის წარმოჩენა.

(დ) სიცოცხლის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიებისა და ჰიპოთეზების მიმოხილვა.

(ე) ბიოგენეტური და აბიოგენეტური მიდგომების ურთიერთშედარება.

16. ტექსტის მიხედვით, ქვემოთ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) ბიოქიმიური ევოლუციის თეორია დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობას ბიოგენეტური მიდგომით ხსნის.

(ბ) თვითჩასახვის თეორიის მომხრეებს ადრეულ ეტაპზე მიაჩნდათ, რომ არაორგანული მატერიიდან მხოლოდ მიკროორგანიზმები შეიძლება წარმოიქმნას.

(გ) პანსპერმიის ჰიპოთეზა პასუხს ვერ სცემს ბევრ მნიშვნელოვან შეკითხვას, რომლებიც უკავშირდება დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობას.

(დ) კრეაციონისტული და სტაციონარული მდგომარეობის თეორიები დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობას ზებუნებრივ ძალებს უკავშირებს.

(ე) სტაციონარული მდგომარეობისა და სპონტანური ჩასახვის თეორიების მიხედვით, შესაძლოა, სიცოცხლე მრავალჯერ წარმოიშვა დედამიწაზე.

17. მეცნიერთა შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

(ა) არისტოტელე იზიარებდა აბიოგენეტურ მიდგომას დედამიწაზე სიცოცხლის წარმოქმნის შესახებ.

(ბ) ლამარკისა და რიხტერის მიდგომა ეფუძნება ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციური განვითარების კონცეფციას.

(გ) პრეიერს მიაჩნდა, რომ დედამიწაზე დასახლებული სახეობები სხვადასხვა ეპოქაში წარმოიშვა.

(დ) ლამარკი და ჰელმონტი ცდილობდნენ სპონტანური ჩასახვის ჰიპოთეზა ექსპერიმენტულად დაემტკიცებინათ.

(ე) ჰელმჰოლცი, ტომსონი და არენიუსი ცდილობდნენ ექსპერიმენტულად დაემტკიცებინათ, რომ „სიცოცხლის ჩანასახს“ შეუძლია კოსმოსში გადარჩენა მაღალი რადიაციას პირობებში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

18. XVIII საუკუნეში ჰელმონტმა ჩაატარა შემდეგი ცდა: სიბნელეში მოათავსა ჭუჭყიანი პერანგი და ხორბლის მარცვლები, რომელთაგან, მისი აზრით, 21 დღეში თაგვები უნდა წარმოქმნილიყვნენ.

ტექსტის მიხედვით, ქვემოთ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

I. ჰელმონტს სურდა დაემტკიცებინა სპონტანური ჩასახვის თეორიის მართებულობა.
II. ჰელმონტის ექსპერიმენტი აბიოგენეტურ მიდგომას ეფუძნებოდა.
III. ჰელმონტს სურდა დაემტკიცებინა, რომ არაცოცხალი მატერიიდან მიკროორგანიზმები შეიძლება წარმოიქმნას.

(ა) მხოლოდ I.

(ბ) მხოლოდ II.

(გ) მხოლოდ III.

(დ) მხოლოდ I და II.

(ე) მხოლოდ II და III.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

19. ექიმმა რედიმ ჩაატარა ექსპერიმენტი: რვა ქილაში ჩააწყო ხორცის ნაჭრები, ნახევარს ქსოვილი გადააფარა, დანარჩენი კი თავღია დატოვა. რამდენიმე დღეში მან შენიშნა, რომ თავღია ქილებში ბუზების მიერ დადებული კვერცხებიდან გაჩნდნენ მატლები, ხოლო ქსოვილით დაფარულ ქილებში ცოცხალი ორგანიზმები არ გაჩნდნენ. რედი მიღებული შედეგით კმაყოფილი დარჩა, რადგან ამ შედეგმა მისი თვალსაზრისი გაამყარა.

ტექსტის მიხედვით, რა შეიძლება ყოფილიყო რედის თვალსაზრისი?

I. თვითჩასახვის ჰიპოთეზა მცდარია.
II. სტაციონარული მდგომარეობის თეორია მცდარია.
III. არაცოცხალი მატერიისგან სიცოცხლე არ წარმოიქმნება.

(ა) მხოლოდ I.

(ბ) მხოლოდ I და II.

(გ) მხოლოდ I და III.

(დ) მხოლოდ II და III.

(ე) თითოეული.

20. ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მოსაზრებაა <u>მცდარი</u>?

(ა) ბიოქიმიური ევოლუციის პირველ ეტაპზე აბიოგენეზის გზით მოხდა მარტივი ორგანული ნაერთების სინთეზი.

(ბ) პანსპერმიის ჰიპოთეზის მიხედვით, სიცოცხლე შეიძლება წარმოშობილიყო მრავალჯერ კოსმოსის სხვადასხვა ნაწილში.

(გ) სტაციონარული მდგომარეობის თეორიის მიხედვით, დედამიწაზე ახალი სახეობების წარმოშობა არ ხდებოდა.

(დ) მარტივი უჯრედი, რომელსაც ჰქონდა რეპროდუქციული გენეტიკური აპარატი, ბიოქიმიური ევოლუციის ბოლო ეტაპზე ჩამოყალიბდა.

(ე) ექსპერიმენტულად შეუძლებელია აბიოგენური გზით რთული ორგანული ნაერთის მიღება.

21. ტექსტის მიხედვით, რომელი ფაქტია სწორად წარმოდგენილი?

(ა) თვითჩასახვის კონცეფცია XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა.

(ბ) პირველი ევოლუციური თეორია ფრანგმა მეცნიერმა ჩამოაყალიბა.

(გ) პოლიპეპტიდები და პოლინუკლეოტიდები წარმოადგენს არაორგანულ პოლიმერებს.

(დ) 1953 წელს, მტევანფარფლიანი თევზის, ლატიმერიას აღმოჩენის შემდეგ, ბუნებისმეტყველები შეთანხმდენენ, რომ სახეობათა გადაშენება არ ხდება.

(ე) პანსპერმიის ჰიპოთეზას სიცოცხლის წარმოშობის შესახებ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს სტაციონარული მდგომარეობის ჰიპოთეზა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტესტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21